საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის მიმართულებები

DOI:10.36962/ECS105/1-2/2023-80

ნინო დარსაველიძე
სტუ ასოცირებული პროფესორი

მაია ჩინჩალაძე
სტუ ასოცირებული პროფესორი,
maia.chinchaladze@mail.ru

ლელა ბოჭოიძე
სტუ ასოცირებული პროფესორი

ცოტნე შამუგია
სტუ მაგისტრანტი

რეზიუმე

გაანალიზებულია, რომ ბიზნეს სექტორის მიერ, საწარმოთა საქმიანობის შედეგების მიხედვით, ბრუნვის მოცულობის 17,4 % იანი ზრდა,[1] 2022 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, გამოწვეულია წარმოების ეფექტიანობისადმი პრიორიტეტული დამოკიდებულებით: დამატებითი სიმძლავრეების შესაძლებლობების გამოვლენითა და მათი ოპტიმალური გამოყენებით. ცხადია, რომ ეს პროცესები მკვეთრ ცვლილებებთან ასოცირდება და მოითხოვს დამატებითი რესურსების მობილიზაციას. მაგრამ ამავდროულად, დადებითად აისახება წარმოების ერთეულზე გაწეულ დანახარჯებსა და წარმოებული ერთეულების რაოდენობაზე. აშკარაა რომ ბიზნეს სექტორში, საწარმოთა საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, ტრანსპორტსა და დასაწყობების სექტორში ფიქსირდება წარმოების ეფექტიანობის ზრდა. სამუშაოს ხარისხისა

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 05.12.2022 www.geostat.ge info@geostat.geსაწარმოთა საქმიანობის შედეგები (2022 წლის III კვარტალი)

და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ზრდის ტემპების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად, აქცენტირება უნდა მოხდეს წარმოების პროცესის ყველა ასპექტზე. პრიორიტეტად უნდა იქცეს რისკებისა და დანაკარგების შემცირება.

საკვანძო სიტყვები: წარმოების ეფექტიანობა, პროდუქტიულობა, ტრანსპორტი, წარმოება, ბიზნეს სექტორი. KPI

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ბიზნესსექტორში, 2022 წლის მესამე კვარტლის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურის, 100 % იანი დიაგრამიდან, 22,7 % - ით ფიქსირდება დამამუშავებელი მრეწველობა, ხოლო ტრანსპორტი, დასაწყობება - 9,4% ით. 2021 წლის მესამე კვარტლის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა კი ამგვარია: დამამუშავებელი მრეწველობა - 24,2% და ტრანსპორტი დასაწყობება - 8,3%.[1] ეს ნიშნავს რომ ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურაში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში და კერძოდ, მესამე კვარტალში, წილის თანაფარდობა შეიცვალა. წილი გაიზარდა ტრანსპორტის და დასაწყობების სექტორში და დაქვეითდა - დამამუშავებელი წარმოების სექტორში. რაც ნიშნავს რომ დამამუშავებელ სექტორში საწარმოო პროცესები მოითხოვს სრულყოფასა და გაუჯობესებას, სტანდარტიზაციის დაცვას, უმიზეზო და დაგეგმვის გარეშე მოცდენებისა და შეფერხებების აღმოფხვრას, პერსონალის რეგულარულ და აქტიურ, პრაქტიკულ ტრენინგებს, უახლესი ტექნოლოგიისა და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფას, რაც საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის წინაპირობაა.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

წარმოების ეფექტიანობა და პროდუქტიულობა არ მოიცავენ ურთიერთშემცვლელ განმარტებებს, თუმცა ერთი შეხედვით, ამ ორ ტერმინს ერთი და იგივე მახასიათებლები უნდა ქონდეს. პროდუქციის ხარისხს, რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ეფექტიანობის ზრდას - წარმოების პროდუქტიულობა ასახავს.

1 საწარმოთა-საქმიანობის-შედეგები---(2022-წლის-III-კვარტალი).pdf

მაგრამ ისეთი ეკონომიკური ტერმინი, როგორიცაა წარმოების ეფექტიანობა - შეესაბამება წარმოების მაქსიმალური სიმძლავრის შესაბამის წარმოების მაჩვენებლებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიღწეულია მაქსიმალური სიმძლავრე, პროდუქციის დამატებითი ერთეული ვერ იწარმოება, თუ კი არ მოხდება სხვა პროდუქტის წარმოების მაჩვენებლების შემცირება. მაქსიმალური ეფექტიანობის პირობებში, შესაძლებელია წარმოების ოპტიმიზირება და ხარისხიანი პროდუქტის მინიმალური თვითღირებულებით წარმოება. პრაქტიკაში, სრულყოფილად ამ შედეგზე გასვლა შეუძლებელია, ვინაიდან ნებისმიერ საწარმოო პროცესს თან ახლავს გარკვეული ტექნიკური დეფექტები ან უხარისხო ნედლეულის გამოყენებით მიღებული ზარალი. რაც ამცირებს წარმოების პროდუქტიულობას. მისგან განსხვავებით, წარმოების ეფექტიანობა ფართო ცნებაა და მოითხოვს ყველა სახის რესურსის სრულყოფილ და მაქსიმალური სიმძლავრის ათვისებას.[1] სხვაგვარად ეს ნიშნავს პროდუქტიულ ეფექტიანობას.

მოთხოვნადი, მაღალი სტანდარტის ხარისხიანი პროდუქტის საწარმოებლად, კონკურენტუნარიანობის დემონსტრირებისათვის აუცილებელია წარმოების აღჭურვა უახლესი ტექნოლოგიით, პროგრამული სისტემებით, მათი დანერგვა გამოყენება და პერსონალის სწავლება-გადამზადება. ასევე მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულება და ნარჩენების მართვა-გადამუშავება. ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმები, რესურსების გამოყენების ეფექტიანობას ზრდიან.[2]

წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესების მუდმივი და უწყვეტი პროცესების მახასიათებლები ხარისხობრივი და რაოდენობრივი ნიშნებით ფასდება. KPI - Key Performance Indicators - ეს ის ძირითადი ინდიკატორებია, რომელეთა გამოყენებით შესაძლებელი ხდება საწარმოო პროცესების ოპტიმიზირება

1 https://www.investopedia.com/terms/p/production_efficiency.asp
2 ნარჩენების მართვის კოდექსი

და გაუმჯობესება. Cost KPI ასახავს რესურსების ხარჯვის პროცესებს, ფუნქციონირების KPI ასახავს პროცესების ფუნ-ქციონირების ალგორითმებთან თავსებადობას, ოპერაციების შესრულების KPI კი ის ინდიკატორია, რომელიც აკავშირებს ერ-თმანეთთან საბოლოო შედეგსა და მის მიღწევაზე დახარჯულ დროს. რაც შეეხება ეფექტიანობის ინდიკატორს, - ის გვიჩვე-ნებს პროდუქტიდან მიღებული შემოსავლისა და დახარჯული რესურსების ღირებულების თანაფარდობას.

ამ ინდიკატორების გამოყენება სრულყოფს ოპერაციულ პროცესებს და ბიზნესსექტორის საწარმოთა საქმიანობის შე-დეგებს. ამით ბიზნესს ეძლევა ოპერაციული და სტრატეგიული მიზნების მიღწევის შეფასების რეალური შესაძლებლობა.[1]

წარმოების ეფექტიანობა უკავშირდება არამარტო წარმო-ებული პროდუქციის რაოდენობას, არამედ - წარმოების ერთე-ულზე გაწეულ დანახარჯებს, აუცილებელია პირველ რიგში, ინვესტირება საკუთარი პერსონალის სწავლებასა და გადამზა-დებაზე, პროდუქტიულობის გაზრდის ერთ ერთი მნიშვნელო-ვანი გზაა - საწარმოო ნარჩენების შემცირება და გადამუშავება; მარაგების მართვის, მზა პროდუქციის დასაწყობების გამა-რთული სისტემა - წარმოების ეფექტიანობის ზრდის ერთ ერთი წინაპირობაა.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

წარმოების ეფექტიანობის ზრდის ძირითადი პრიორიტე-ტული ფაქტორები უკავშირდება ოპერაციათა მართვას და ეხება: რესურსების რაციონალურ გამოყენებას, წარმოების პროცესების სრულყოფას, მზა პროდუქტის რეალიზაციის პრო-ცესებს, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას, პერსონალის სწავლებას (ვინაიდან, მხოლოდ კვალიფიციური პერსონალია მაღალპროდუქტიული და მაღალი ROI გააჩნია); მოცდენების და შეფერხებების აღმოფხვრას, პროდუქციის მოცულობის გა-ნსაზღვრას, მოთხოვნაზე პროგნოზის შესაბამისად, წარმოების

1 https://businessguide.ebrd.ge/posts/key-building-blocks-of-an-operating-model

დონის ოპტიმიზაციას; შრომის დაცვას და სამუშაო ადგილის უსაფრთხოებას. პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებას და ერთეულზე შემოსავლის გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 05.12.2022 www.geostat.ge, info@geostat.geსაწარმოთა საქმიანობის შედეგები(2022 წლის III კვარტალი)
2. David Parmenter Key Performance Indicators: Developing, Implementing, and Using Winning KPIs, Fourth Edition. First published:15 October 2019ISBN:9781119620778 |Online ISBN:9781119620785 |DOI:10.1002/9781119620785 © 2020 John Wiley & Sons, Inc.
3. https://businessguide.ebrd.ge/posts/key-building-blocks-of-an-operating-model
4. https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9781119620785.ch6
5. https://www.investopedia.com/terms/p/production_efficiency.asp
6. https://www.unleashedsoftware.com/manufacturing-productivity-guide/how-to- improve-productivity-in-manufacturing
7. ნარჩენების მართვის კოდექსი
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
9. საწარმოთა-საქმიანობის-შედეგები - (2022-წლის III კვარტალი).pdf

REFERENCES:

1. David Parmenter Key Performance Indicators: Developing, Implementing, and Using Winning KPIs, Fourth Edition. First published:15 October 2019ISBN:9781119620778 |Online ISBN:9781119620785 |DOI:10.1002/9781119620785 © 2020 John Wiley & Sons, Inc.
2. https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9781119620785.ch6

3. https://www.unleashedsoftware.com/manufacturing-productivity-guide/how-to- improve-productivity-in-manufacturing
4. National Statistical Service of Georgia
5. 05.12.2022 www.geostat.ge info@geostat.ge Results of business activity (III quarter of 2022)
6. Enterprise-activity-results---(2022-III-quarter).pdf
7. https://www.investopedia.com/terms/p/production_efficiency.asp
8. Waste Management Code
9. https://businessguide.ebrd.ge/posts/key-building-blocks-of-an-operating-model

DIRECTIONS FOR INCREASING THE EFFICIENCY OF ENTERPRISE OPERATION

Lela Bochoidze, Maia Chinchaladze, Nino Darsavelidze
GTU Associate Professors
Tsotne Shamugia
GTU Master's student
maia.chinchaladze@mail.ru

RESUME

The article analyzes that the 17.4% increase in turnover volume by the business sector, according to the results of enterprise activity, in the third quarter of 2022, in relation to the corresponding period of the previous year, is caused by a priority attitude to production efficiency: identifying the opportunities for additional capacities and their optimal use. It is clear that these processes are associated with drastic changes and require the mobilization of additional resources. But at the same time, it has a positive effect on the costs incurred per unit of production and the number of units produced. It is obvi-

ous that in the business sector, based on the results of the enterprises' activities, the increase in production efficiency is recorded in the transport and warehousing sectors. In order to ensure the quality and efficiency of work, to maintain and improve growth rates, the emphasis should be placed on all aspects of the production process. Reducing risks and losses should be a priority.

Keywords: production efficiency, productivity, transport, production, business sector, KPI.